

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი № 2

„25“ „იანვარი“ 2018 წელი

სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - „სასწავლო უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი მისი რექტორის თეონა ხუფენიას სახით და აუდიტორული კომპანია შპს „ჯ. ბ. აუდიტი“ (შემდგომში - „ჯ. ბ. აუდიტი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ ფიცხელაურის სახით, მხარეებად წოდებულნი, იმის გათვალისწინებით, რომ მხარეები:

- ურთიერთთანამშრომლობის ორმხრივი დაინტერესებით ისწრაფვიან რა თანასწორუფლებიანი ურთიერთობების განვითარებასა და განმტკიცებისაკენ;
  - გამოთქვამენ მზაობას აქტიურად ითანამშრომლონ საუნივერსიტეტო პროცესების ეფექტიანობის ამაღლებისა და სტუდენტთა მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეში;
  - აცნობიერებენ რა საზოგადოების განვითარებისათვის მათ საჭიროებას და სურვილი აქვთ განახორციელონ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებები საგანმანათლებლო სფეროში;
- აფორმებენ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (შემდგომში „მემორანდუმი“) და თანხმდებიან შემდეგზე:

### 1. ურთიერთთანამშრომლობის მიზანი

სასწავლო პროცესის ფოკუსირება პრაქტიკის მოთხოვნებზე და საჭიროებებზე, სტუდენტთა თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ - ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. შრომის ბაზარზე კარიერის დაგეგმვის შესაძლებლობების გაფართოება,

### 2. მხარეთა თანამშრომლობის ძირითადი მიმართულება:

- საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივად შემუშავება.
- პრაქტიკული ღონისძიებების ერთობლივი ორგანიზება (კონფერენციები, სემინარები, შეხვედრები სხვა და სხვა საკითხებზე.)
- სტუდენტთა თეორიული ცოდნის გამოყენებისათვის შესაბამის სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწა. კომპანიის მენეჯერებთან და პერსონალთან

არაფორმალური ურთიერთობები დაეხმარება სტუდენტებს პროფესიული ურთიერთობების დამყარებასა და შემდგომი კარიერის დაგეგმვაში.

- სტუდენტთა პრაქტიკის გავლის და კომპანიაში ვაკანსიების გამოცხადების შემთხვევაში კომპანიაში იმ კურსდამთავრებულთა შემღების დაგვარად დასაქმება, ვინც გაიარა სტაჟირება კომპანიაში.

### 3. დასკვნითი დებულება

3.1. მხარეთა ყოველი კონკრეტული ერთობლივი „შეთანხმება“ გაფორმდება წერილობით, დეტალურად განისაზღვრება პირობები, პრაქტიკის ან/და სტაჟირების ვადები და გრაფიკი.

3.2. წინამდებარე „მემორანდუმი“ არ წარმოშობს რაიმე სახის ურთიერთ-ვალდებულებებს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმებ(ებ)ის გაფორმებამდე.

3.3. წინამდებარე „მემორანდუმი“ ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის ვადით. „მემორანდუმის“ მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმებ(ებ)ით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

3.4. წინამდებარე „მემორანდუმი“ შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის გადასაცემად.

### 4. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“  
მისამართი: ქ.ზუგდიდი; ჯანაშიას №14

რექტორი  
თეონა ხუფენია



აუდიტორული კომპანია „ჯ.ბ. აუდიტი“

მისამართი: ქ.ზუგდიდი,ზ. გამსახურდიას

დირექტორი  
მარიამ ფიცხელაური

